ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

3 აგვისტო შაბათი 1991
№ 90 (11723)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

გუშინ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

ინფორმაციებს სესიის მუშაობის შესახებ შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში.



ერი პატივს მიაგებს სახელოვან შვილს

„ვფიცავ ქაქუცას ნაქონ წმინდა დროშას, რომ მასავით სულის ამოხდომამდე ვიბრძოლებ საქართველოს განთავისუფლებისათვის", — სამშობლოს წინაშე რესპუბლიკის წინამძღოლის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული ეს ფიცი 31 ივლისს გახდა ერთგვარი ლაიტმოტივი სახალხო დღესასწაულისა „ქაქუცაობა", რომელიც საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების 103 წლისთავს მიეძღვნა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ და წერენ „შეფიცულთა" შესახებ. განსაკუთრებული ყურადღებით არის მოსილი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარი მებრძოლი მის მშობლიურ, ახმეტის რაიონში. აქ ქ. ჩოლოყაშვილის სახელი მიკუთვნებული აქვს ქუჩებს, სკოლას. გმირის მშობლიურ სოფელ მატანში ყოველწლიურად იმართება სახალხო ზეიმი „ქაქუცაობა".

ზეიმზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ და ერის თვალსაჩინო შვილს პატივი მიაგეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებმა, გმირის შთამომავლებმა, საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ბაგრატოვანთა დინასტიის წარმომადგენელი ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონი-ორსინისა და მისი მეუღლე ჰერცოგი რაიმონდ ორსინი, რომლებიც იტალიიდან ჩამობრძანდნენ.

როგორც თავის გამოსვლაში ბატონმა ზვიად გამსახურდიამ brძანა, „ქაქუცაობამ" მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ისტორიული კუთხის ეროვნული გამოღვიძების საქმეში. თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი იყო მაგალითი ქართული შეუპოვრობისა და გულადოვნობისა. იგი თავისი მცირე რაზმით შეებრძოლა უზარმაზარ იმპერიას და, თუმცა იძულებული გახდა გადახვეწილიყო საქართველოდან, თავის თანამემამულეებს დაუტოვა ნათელი ზნეობრივი მაგალითი სამშობლოსადმი უანგარო მსახურებისა.

ჩოლოყაშვილების ციხე-გალავანი, მათი ღვთისმშობლის კარის ეკლესია, კიდევ ერთი ამაღელვებელი ამბის მოწმე გახდა — აქ, სამშობლოს ერთგულებაზე ფიცი დადეს საქართველოს გვარდიელებმა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ახლად მიღებულმა წევრებმა.

ასეთი იყო რიგით მესამე „ქაქუცაობა" — ამაღლებულიც, ფიქრის აღმძვრელიც, საქმიანიც. ალბათ, ესეც ნიშანდობლივია იმ ხალხის ზეიმისთვის, რომელმაც ბევრს მიაღწია, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება მოეთხოვება დღეს და მომავალში.

ზურაბ არსენიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორესპონდენტი.

●

სურათებზე: „ქაქუცაობა" სოფელ მატანში.
იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება

დასრულდა აშშ პრეზიდენტის ჯ. ბუშის ვიზიტი საბჭოთა კავშირში. ხუთშაბათს ის კიევში შეხვდა უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ლ. კრავჩუკს და სხვა ოფიციალურ პირებს. მათ განიხილეს უკრაინისა და შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოების პერსპექტივები, კერძოდ კი ამერიკულ კაპიტალდაბანდებათა გაფართოების აუცილებლობა უკრაინის ეკონომიკაში.

უკრაინის პარლამენტის დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას ჯ. ბუშმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს უკიდურესი ნაციონალიზმის საფრთხე და მოუწოდა პარლამენტის დეპუტატებს, მხარი დაუჭირონ მ. გორბაჩოვის რეფორმების კურსს, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ერთიანობის შენარჩუნებას.

პრეზიდენტმა თქვა, რომ შეერთებული შტატები აპირებს კონტაქტების გაფართოებას ცალკეულ რესპუბლიკებთან, ამასთან, შეინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას ცენტრალურ საბჭოთა მთავრობასთან.

უკრაინის ოპოზიცია არც თუ ისე კმაყოფილია ბუშის გამოსვლით. როგორც მოძრაობა „რუხის" ლიდერმა ი. დრაჩმა განაცხადა, ამერიკის პრეზიდენტმა ვერ გაიგო ტოტალიტარული მმართველობის წინააღმდეგ მათი ბრძოლის არსი და უკრაინაში ჩავიდა ფაქტიურად, როგორც გორბაჩოვის კურიერი.

●

ისრაელი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციაში. ამის შესახებ განაცხადა ისრაელის პრემიერმა ი. შამირმა ჯ. ბეიკერთან იერუსალიმში შეხვედრის შემდეგ. აშშ და საბჭოთა კავშირი იქნებიან ამ კონფერენციის ორგანიზატორები, რომელიც, ალბათ, ოქტომბერში ჩატარდება.

ტელეინტერვიუში ი. შამირმა თქვა, რომ ისრაელი დათანხმდა კონფერენციაში მონაწილეობაზე, რამდენადაც შეერთებულმა შტატებმა დაარწმუნა ის, რომ პალესტინელთა დელეგაციის შემადგენლობაში არ იქნებიან პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წევრები და პალესტინელები აღმოსავლეთ იერუსალიმიდან.

●

შესრულდა ერაყის ქუვეითში შეჭრის ერთი წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, აშშ თავდაცვის მინისტრმა რიჩარდ ჩეინიმ განაცხადა, რომ სამხედრო მდგომარეობა სპარსეთის ყურის რეგიონში ფუნდამენტალურად შეიცვალა მიუხედავად იმისა, რომ სადამ ჰუსეინი კვლავ ხელისუფლების სათავეში რჩება. მისი თქმით, ერაყს აღარ შესწევს უნარი დაემუქროს მეზობელ სახელმწიფოებს, გარდა ამისა, ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაუბრუნეს რიგით ამერიკელებს საკუთარი შეიარაღებული ძალების რწმენა — ვიეტნამის ომში დამარცხების შემდეგ.

ამასობაში პენტაგონი აცხადებს, რომ ერაყი კვლავ არ ამჟღავნებს თავისი ბირთვული პოტენციალის სრულ მასშტაბებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს მის წინააღმდეგ სამხედრო აქციების განახლება.

●

ლიტვის მთავრობამ გააძლიერა კონტროლი რესპუბლიკის სასაზღვრო პოსტებზე, მას შემდეგ, რაც მიდინინკაის სასაზღვრო პუნქტზე, ბელორუსიის საზღვართან, მოკლეს 6 მესაზღვრე, 2 კი მძიმედ არის დაჭრილი. მიმდინარეობს მომხდარი ფაქტის გამოძიება, ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ლანდსბერგისმა პარლამენტის საგანგებო სესიაზე განაცხადა, რომ ეს აქცია წინასწარ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული „ომონის" მიერ, თუმცა „ომონი" ამას უარყოფს.

ლიტვის მთავრობამ დააწესა ჯილდო — 20 ათასი დოლარი იმ ინფორმაციისათვის, რომელიც დაეხმარება მას ლიტველ მესაზღვრეთა მკვლელების ამოცნობაში.

●

გერმანიის ეკონომიკის სამინისტრომ ხელი მოაწერა 650-მილიონიან კონტრაქტს საბჭოთა კავშირიდან, რომელიც ითვალისწინებს სახლების აშენებას ბელორუსიის 5 დასახლებულ პუნქტში. აქ იცხოვრებენ აღმოსავლეთ გერმანიიდან დაბრუნებული საბჭოთა ჯარისკაცები.

გერმანია თანახმაა, გადაიხადოს დაახლოებით 8 მილიარდი მარკა 36 ათასი ასეთი სახლის ასაშენებლად.

ირინა თევდორაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკლარაცია

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ჯგუფისა „ჰელსინკი-91“

შეგნებული გვაქვს რა, რომ საქართველოს სრული რეალური თავისუფლების მოპოვების, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის, ცივილიზებულ სამყაროში მისი დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი და, ამავე დროს, აუცილებელი პირობაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განუხრელი და თანმიმდევრული დაცვა;

— რომ ტოტალიტარული იმპერიიდან განთავისუფლების რთულ გზაზე სრულიადაც არ ვართ დაზღვეული ადამიანის უფლებათა დარღვევათაგან;

— რომ ადამიანის უფლებათა დაცვა არის არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებათა და სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების საქმე, არამედ თვითონ საზოგადოებრიობის მოვალეობაცაა და ამ მიმართულებით მოქალაქეთა აქტიურობის ზრდა თავის მხრივ არის ჩვენში სამოქალაქო საზოგადოების აღორძინების ერთ-ერთი საწინდარი;

—რომ სხვა ადამიანის ღირსებისა და უფლებათა პატივისცემა, მიუხედავად მისი რასისა, ეროვნებისა, სქესისა, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, არის ყოველი პიროვნების ადამიანური, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მოვალეობა და იმავდროულად მისი სულიერი განვითარების ძლავრი საშუალება;

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი, ვაარსებთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ახალ ჯგუფს — „ჰელსინკი-91“.

ჯგუფი მიზნად ისახავს შეუწყოს ხელი საქართველოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა და ჰუმანისტურ ტრადიციათა პატივისცემის აღორძინებასა და დამკვიდრებას; დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში და ისტორიულ საქართველოში აღიარებულ ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმათა დანერგვას; კერძოდ, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის შეხვედრის დასკვნით აქტსა და მომდევნო დოკუმენტებში დეკლარირებულ იმ პრინციპთა რეალიზაციას და ეროვნულ ტრადიციებზე დამყნობას რომელნიც ჰუმანიტარულ სფეროს ეხებიან.

ჯგუფი „ჰელსინკი-91“ თავის მოვალეობად თვლის სისტემატურ მუშაობას და საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას შემდეგ კონკრეტულ ამოცანათა გადასაჭრელად:

— საქართველოს მოსახლეობის ზნეობრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის ამაღლება, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა შეგნების გაღრმავება-განმტკიცება;

— ზემონახსენები და ანალოგიური საერთაშორისო დოკუმენტების გავრცელება და პოპულარიზაცია, კერძოდ, საშუალო სკოლასა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მათი სწავლების შემოღება;

— სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების გამიჯვნა და საკუთრივ სამოქალაქო ცხოვრების საკითხებში სახელმწიფოს ჩაურევლობის მიღწევა;

— უმცირესობის უფლებათა დაცვა;

— საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობისა და ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოთა მუშაობის პრაქტიკის სრული შესატყვისობის მიღწევა საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებთან და ეროვნულ ჰუმანისტურ ტრადიციებთან;

— სიკვდილით დასჯის გაუქმება;

— მიღწევა იმისა, რომ საქართველოში არ იყვნენ პოლიტპატიმრები;

— გამოძიებაში მყოფთა და მსჯავრდადებულთა წამებისა და მათი ადამიანური ღირსების შემლახავი ანტიჰუმანური მოპყრობის ყოველნაირი სახეობის (კერძოდ, ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენების) აკრძალვა, პატიმრებთან ურთიერთობაში გაეროს მიერ მიღებული მინიმალური სტანდარტული წესების სრული და უპირობო დაცვა;

— სასჯელის მოსახდელად მსჯავრდადებულთა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაგზავნის პრაქტიკის გაუქმება;

— ადამიანის უფლებათა დარღვევის ან უკანონო შეზღუდვის ყოველი ცალკეული შემოწმებული შემთხვევის აღკვეთისათვის ყოველდღიური ზრუნვა;

— რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური ან სხვა მსგავსი მოტივით ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დისკრიმინაციის შესაძლებლობის სრული გამორიცხვა;

— აზრის, რწმენის, ზეპირი და ბეჭდვითი სიტყვის, სწორი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების, შეკრებებისა და მანიფესტაციების, დედამიწის ნებისმიერ ადგილას მცხოვრებ ადამიანებთან და ადამიანთა ჯგუფებთან ურთიერთობის, საზღვარგარეთ წასვლისა და სამშობლოში დაბრუნების სრული და უპირობო თავისუფლების მიღწევა.

თვითონ ჯგუფი „ჰელსინკი-91“ თავის მოღვაწეობაში განუხრელად იხელმძღვანელებს საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმებითა და ეროვნული ჰუმანისტური ტრადიციებით, გამოიყენებს მხოლოდ კანონიერ და ლეგალურ მეთოდებსა და საშუალებებს, გაითვალისწინებს და დღევანდელ პირობებს შეუნახავს საბჭოთა იმპერიაში ადამიანის უფლებათა დამცველი ადრე მოღვაწე ჯგუფების გამოცდილებას.

ჯგუფი „ჰელსინკი-91“ არაპოლიტიკური ორგანიზაციაა. იგი არ ისახავს მიზნად ხელისუფლების მოპოვებას. იგი არ არის და არც იქნება რომელიმე ცალკეული პოლიტიკური პარტიის ან პარტიათა ბლოკის ინტერესების გამომხატველი.

ჯგუფი მხარს დაუჭერს სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციათა ყოველ ისეთ მოქმედებას, რომელიც ტოტალიტარიზმისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და დემოკრატიზაციისკენ იქნება მიმართული, და წინააღმდეგობას გაუწევს ყოველ ისეთ მოქმედებას, რომელიც ამ მიზნისაკენ სწრაფვის ხელშემშლელი იქნება.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ:

რედაქცია და, საერთოდ, ყველა ნორმალური ადამიანი მხარს დაუჭერს ყოველგვარ მოსაზრებას, მოქმედებას, რომელიც გაღრმავებს დემოკრატიას, ჩვენს ცხოვრებაში დანერგავს ჰუმანურ, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ იდეალებს, დაიცავს ადამიანთა უფლებებს. ამდენად, ჯგუფის დაარსებას ჩვენ მივესალმებით, მაგრამ, პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ არ გვჯერა გაკეთებული განცხადებისა, რომ ჯგუფი „არ არის და არც იქნება რომელიმე ცალკეული პოლიტიკური პარტიის ან პარტიათა ბლოკის ინტერესების გამომხატველი“. ზეპარტიულობა აქ ობიექტურობის გაგებითაც გვესმის. ჩვენ ეჭვი შეგვეპარა განცხადების გულწრფელობაში, როცა დეკლარაციაში ვკითხულობთ, რომ თურმე ამ ორგანიზაციის მიზანია „მიღწევა იმისა, რომ საქართველოში არ იყვნენ პოლიტპატიმრები“. რას ნიშნავს ეს? გაკეთებული განცხადების საწინააღმდეგოდ, დეკლარაციის ამ მუხლს აშკარად უდის პოლიტიკურობისა და ტენდენციურობის ხუნი, რადგანაც, თითქოს და დღეს რომ საქართველოში არსებობენ პოლიტპატიმრები, ძალზედ ბევრს (ამდენად ინტერესსაც გამოხატავს) რეალურად არსებული პოლიტიკური ძალების მოსაზრებებს. თუ ვის თვლიან პოლიტპატიმრებად ავტორები, ჩვენთვის გასაგებია. იქნებ მაინც დაგვეცადა გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის და დასკვნები მერე გაგვეკეთებინა.

ან ავიღოთ დეკლარაციის მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ მათი მიზანია: „გამოძიებაში მყოფთა და მსჯავრდადებულთა წამებისა და მათი ადამიანური ღირსების შემლახავი ანტიჰუმანური მოპყრობის ყოველნაირი სახეობის (კერძოდ, ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენების) აკრძალვა...“ რა საფუძველი აქვთ ჯგუფის წევრებს იმისა, რომ დღეს ეს „მეთოდები“ — წამება და „ფსიხუშკები“ კვლავ გამოიყენება; რას ებრძვიან ისინი ან !რისთვის იბრძვიან?

რაც შეეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას, ესეც ღია კარის მტვრევად გვეჩვენება. რად უნდა ამას ცალკე „მებრძოლი“ ორგანიზაცია, როცა დღეს ყველა გაზეთი, ტელევიზია და რადიო ამისათვის იღვწის, ფართო დებატები იმართება უზენაეს საბჭოს სხდომებზე და, რაც მთავარია, მიღებულია კანონი ზოგიერთ დანაშაულზე სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

პრაქტიკულად გადაწყვეტილია საკითხი სახელის მოსახდელად მსჯავრდადებულთა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაგზავნის პრაქტიკის გაუქმების შესახებ. ამაზე სათანადო ინფორმაცია მოისმინეს დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს წინა სხდომაზე.

ერთი სიტყვით ჩვენი ხურვილია ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

გადაწყვეტილებისათვის და დასკვნები მერე გაგვეკეთებინა.

ᲐᲠᲪᲗᲣ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ

„სიწმინდის დაბრუნებასთან“ დაკავშირებული ერთი გაუგებრობის თაობაზე

25 ივლისის „ახალგაზრდა ივერიელში“ რუბრიკით „სხვა გაზეთებიდან“ მოთავსებულია გადმონაბეჭდი „მოსკოვსკიე ნოვოსტიდან“ შემდეგი სათაურით: „სად არის მონღოლეთის ეროვნული სიწმინდე?“ ამ გადმონაბეჭდიდან ვგებულობთ, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა ჯარებს ულან-ბატორიდან გამოუტანიათ 28-მეტრიანი ქანდაკება, დამზადებული თითბერის, სპილენძისა და ოქროსაგან. მონღოლეთის კომპეტენტური ორგანოების ვარაუდით ეს ქანდაკება გადატანილი იყო ლენინგრადში, სადაც მოხდა მისი დემონტაჟი.

რუსის ჯარს მონღოლეთში ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც სადმე სხვაგან არ გაეკეთებინოს, და არც რუს ხელისუფალთა საქციელი იწვევს გაკვირვებას. ჰეშმარიტად გასაოცარი კი ამის შესახებ ცნობის ქართული სათაური და მისი ბოლო აბზაცის თარგმანია: „გენერალური საკონსულოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მონღოლი ხალხის ქანდაკება, რომელიც ჩინეთის ბატონობისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად დადგეს ულან-ბატორში 1913 წელს, არის ეროვნული **სიწმინდე** (ხაზგასმა ჩვენია — ვ. კ.), რომელიც მონღოლთა თავისუფლებისმოყვარე ხასიათს განასახიერებს და ამიტომ მისი სამშობლოში დაბრუნება უკიდურესად აქტუალური საკითხია“.

თარგმანში დაშვებული უხეში შეცდომის გამოვლენა დედანთან შედარებას არ საჭიროებს. ცხადია, რომ იქ იქნება სიტყვა „Святыня“ (სვიატინია), რომლის მოცემულ კონტექსტში ერთადერთი მნიშვნელობაა ქართული სიტყვა „საგანძური“. შესაბამისად უნდა იყოს სათაური „სად არის მონღოლეთის ეროვნული საგანძური;“ და „ეროვნულის საგანძურის სამშობლოში დაბრუნება უკიდურესად აქტუალური საკითხია“.

საინტერესოა, რას იფიქრებენ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციის თანამშრომლები, რომ ვინმესგან მოისმინონ შემდეგი მინაარსის განცხადება: „მავანი და მავანი ქალიშვილის სიწმინდე გიიტაცა მისმა თანასოფლელმა და ამ სიწმინდის დაბრუნება უკიდურესად აქტუალური საკითხია?“ ვფიქრობთ, რომ კომენტარი ზედმეტია და რედაქციის თანამშრომლები, რომლებიც ახარისხებენ მასალებს პროგრესული რუსული პრესიდან, თვითონვე გააკეთებენ შესაფერის დასკვნებს.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲝᲠᲢᲐᲕᲐ,
ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ:

დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ ბატონ ვლადიმერ კორტავას შენიშვნისათვის, მაგრამ ერთი საყვედური კი უნდა შეკადროთ: ბატონო ვლადიმერ, ვერ უფიქრია მაინც და მაინც მოხსენებული შედარებების ოსტატი. თუ ამ შემთხვევაში „Святыня„ ბანძია, მაშინ თქვენს მიერ შემოთავაზებული წინადადება ასე უნდა ნაკითხოთ: „მავანი და მავანი ქალიშვილის ბანძი გიიტაცა მისმა თანასოფელმა და ამ ბანძის დაბრუნება უკიდურესად აქტუალური საკითხია“? როგორ მოგწონთ! ასე რომ, შემოთავაზებული პარალელი ვერაფერი ბანძია, ბატონო ვლადიმერ, და თქვენი რჩევით დასკვნაც გავაკეთეთ: უფრო აქტუალური საკითხებით რომ დაკავდებოდეთ, უმჯობესი იქნებოდა.



სხვა გაზეთებიდან

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ... ᲘᲚᲣᲙᲔᲑᲘᲐᲜ

კემეროვოში გამართულ ბავშვთა ონკოლოგების რეგიონალურ სემინარზე რსფსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარმა ონკოლოგმა ა. ბოჭნამ აღნიშნა, რომ ახლად წარმოქმნილი ავთვისებიანი სიმსივნეებით ბავშვთა სიკვდილის ძირითადი მიზეზი ექიმების შეცდომებია, რაც საერთო სიკვდილიანობის 65% შეადგენს („მედიცინსკაია გაზეტა“, № 27).

ᲥᲝᲚᲔᲠᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ

„მედიცინსკაია გაზეტას“ (№ 27) ცნობით, მოლდოვას რესპუბლიკას ქოლერის ეპიდემია ემუქრება. ამ საშიში დაავადებით ინფიცირების შემთხვევა უკვე დაფიქსირეს ქალაქ კაგულში, რომელიც საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვარზე მდებარეობს.

ᲚᲘᲒᲐᲩᲝᲕᲘᲡ „ᲒᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲮᲡᲕᲔᲑᲘ“

ბელორუსიის ქალაქ ბორისოვის სტამბაში დაიწყეს ეგორ ლიგაჩოვის წიგნის — „გდლიანი და სხვები“ — ბეჭდვა.

მანამდე რესპუბლიკური გაზეთები ბეჭდავდნენ პოლიტბიუროს უფროსი წევრის მოგონებებს კრემლში მისი მუშაობის, გორბაჩოვთან, ელცინთან და სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთან ურთიერთობაზე („კომსომოლსკაია პრავდა“, № 151).

ᲠᲘᲢᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ... ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝ

საშრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ ბისტეკრალში მცხოვრებმა ტუუპებმა ალბერტ, ფრიდრიხ, ლეოპოლდ და დიანა კანტერებმა დაამტკიცეს, რომ შეიძლება ერთ ფორტეპიანოზე ერთდროულად ოთხმა შემსრულებელმა დაუკრას. ამ „საფორტეპიანო კვარტეტმა“ 7 წლიდან დაიწყო მუსიკის სწავლა და დღემდე ოთხივე ერთ რიალზე და ერთად მეცადინეობს. სპეციალისტები ხაზს უსვამენ კვარტეტის ოსტატობის საკმაოდ მაღალ დონეს (სამხრეთაფრიკული „სტარი“).

ᲣᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲔᲑᲖᲔ

საფრანგეთში ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა „ვინ არის ვინ“ ტიბის საერთაშორისო ცნობარი, რომელიც მსოფლიოს მეღვინეობასა და მეღვინეებზე მოგვითხრობს.

ეს უნიკალური გამოცემა შეიცავს ორი ათასამდე პროფესიული მეღვინის ბიოგრაფიას, გვაწვდის ცნობებს მეღვინეობის, ღვინის შენახვის, ღვინით მოვაჭრეების, შუამავლების, დეგუსტატორების, ჟურნალისტებისა და მეღვინეობით დაინტერესებული სხვა სპეციალისტების შესახებ. ბიოგრაფიული მონაცემების გარდა, ცნობარში ნახავთ ღვინოებისა და მათი მწარმოებელი კომპანიების ინდექსებს. სხვადასხვა ქვეყნების მეღვინეთა პროფესიულ კლასიფიკაციას, ამ დარგზე მსოფლიოში გამოქვეყნებული სპეციალიზებული პუბლიკაციების სიებს და სხვა მრავალ ინფორმაციას (ფრანს პრესი).

ᲮᲔᲝᲤᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ ᲣᲐᲠᲡ „ᲐᲛᲑᲝᲒᲡ“ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ

გასული წლის გაზაფხულიდან შეიზღუდა ხეოფსის ცნობილი პირამიდის დასათვალიერებლად ტურისტების მიღება. ახლა პირამიდის ლაბირინთები მათთვის დღეში მხოლოდ რამდენიმე საათს იქნება ღია. ეს გადაწყვეტილება ეგვიპტის ხელისუფლებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც დადგინდა, რომ ყოველდღიურად პირამიდის ლაბირინთებში 3000 ტურისტის შესვლის შემდეგ პირამიდის შიგნით ჰაერის ტენიანობა 90%-ს აღწევს. მომატებული ტენიანობა კი შესასვლელების ქვის კედლებზე მარილების დალექვასა და საბოლოო ჯამში პირამიდის დაზიანებას იწვევს (ბულგარული ყოველკვირეული „ეხო“).

ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ ᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ

საკავშირო პრესაში ითქვა, რომ 1 აგვისტოდან სომხეთის „სოიუზპეჩატის“ მუშაკები, ყველა, როგორც ერთი, შვებულებაში არიან. ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში აღარ გამოდის არცერთი გაზეთი — როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი. გამომცემლობის საწყობებში ქაღალდის მარაგი სულ ამოიწურა და როდის შემოვა, არავინ იცის...

სხვათა შორის, უახლოეს ხანში საქართველოშიც თითქმის იგივე სიტუაცია არის მოსალოდნელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევანშიზმი

რას გვინახავს, კიდევ ვნახავთ?

ჩვენს ხამშობლოში და ხპობდა ყოველგვარ ეროვნულს, ადამიანურს, თურმე ᲘᲮᲘᲜᲘ რევანშისათვის ემზადებიან და კიდევაც გვემუქრებიან. კვლავ ხოციალიზმისა და კომუნიზმის ფერხულში უნდათ ჩაბმა, ეს-ესაა მეშმარიტების გზაზე შემდგარი, ხიხლისაგან ლამის დაცლილი ქართველი ერი.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს რეხპუბლიკის უზენაესი ხაბჭოს დეპუტატთა ჯგუფის (საქართველოს კომპარტიიდან) წინადადებები საქართველოს კომპარტიაში რადიკალური დემოკრატიული რეფორმების გატარებისა და საქართველოს კომპარტიის სტატუსის თაობაზე. ხავსებით ვეთანხმებით ავტორებს, რომ ყოველი პოლიტიკური პარტიის ავტორიტეტი და ხიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ემსახურება ის თავისი ხალხის ინტერესებს, რამდენად ამკვიდრებს ხოციალური ხამართლიანობისა და დემოკრატიული ცხოვრების პრინციპებს, რამდენად იბრძვის ადამიანთა უფლებების დაცვისათვის და რამდენად წარმართავს ის ყოველივე ამას მაღალზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით და ა. შ. მაგრამ, ვერაფრით ვერ დავეთანხმებით მათ, როცა ისინი ცდილობენ ეს კატეგორიები მოარგონ კომპარტიას, ვინაიდან კომპარტიის მთელი ისტორია სწორედ ხაწინააღმდეგოს ამტკიცებს, რომ ის არასოდეს ემსახურებოდა ხალხის ინტერესებს, არასოდეს ცდილა დაემკვიდრებინა ხამართლიანობა, პირიქით, მისი ქმედება ხიცრუისა და ხიყალბეზე იყო აგებული; ხაერთოდ არ ცნობდა პიროვნების უფლებებს და მთელი მისი ხაქმიანობა მიმართული იყო სწორედ რომ პიროვნული, ადამიანური უფლებების ჩაკვლისაკენ და მისი ქმედება მთლიანად არაზნეობრივი იყო. წარმოდგენილი თეორიული კონცეფციაც, პრაქტიკულად, უარყოფაა კომუნისტური იდეალებისა. და ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როცა პარტიის რეანიმაციას ცდილობენ ხალად მოაზროვნე პირები. ისიც გასაკვირია, როცა ლაპარაკობენ პარტიის ავტორიტეტისა და პრესტიჟის აღდგენაზე. კი მაგრამ, როდის ან რით მოიპოვა კომპარტიამ ავტორიტეტი და პრესტიჟი? ან პარტიისადმი ხალხის რომელ რწმენაზეა ლაპარაკი! ხომ არ სჯობს, ვთქვათ გასაცოდავებული ადამიანების გაბრიყვებაზე, ფანატიზმზე, ბრმა ინსტინქტებზე. განა არ სჯობს ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ? უშედეგოა ცდა, უზნეოდ შობილს დღეს ზნეობა ასწავლოთ, მისთვის მიუღებელი მიაღებინოთ. თვით კომპარტიის ერთგული შვილი ე. შევარდნაძეც კი მიხვდა ამას და თავით-ფეხებამდე რეალისტი პოლიტიკოსი ახალი პარტიის შექმნას შეუდგა (რამდენად არ იქნება ის პროკომუნისტური, ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს მოგახსენებთ). ამდენად, გვაპატიონ ფრიად ხაპატივცემულო ავტორებმა, მაგრამ როცა ისინი კომპარტიის გაცოვილიზებას ცდილობენ, წყალს ნაყავენ მხოლოდ და ნებსით თუ უნებლიედ ზემოთ ნახსენები რევანშისტული იდეების განვითარებას უწყობენ ხელს. საქართველოსთვის დღეს ერთადერთი მისაღები ვარიანტი არსებობს მხოლოდ — კომპარტიის სრული ლიკვიდაცია.

ამას წინათ № 29 „ოგონიოკში“ **ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲔᲚᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲜᲗᲐ** შესანიშნავად ჩამოაყალიბა კომპარტიის „დამახასურებანი“, ვფიქრობთ, არავისთვის არ იქნება ზედმეტი ამ წერილის ფრაგმენტის გაცნობა.

...გაველურების, გადაშენების კურსი

პარტიას თავისი ავტორიტეტული წარმომადგენლის მეშვეობით მკაფიოდ, გარკვევით, ყველას გასაგონად უნდა ეთქვა, რომ დამნაშავეა:

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ 1917 წლის 25 ოქტომბერს რევოლუციონერ-ექსტრემისტთა ჯგუფმა მისი სახელით დაპატიმრა დროებითი მთავრობა, შემდეგ გარეკა დამფუძნებელი კრება, ესე იგი უკანონოდ, ძალადობის გზით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება იმ დროისათვის უკვე არსებულ რუსეთის რესპუბლიკაში...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ ამ ჯგუფმა ძალაუფლება ჩაიგდო არა მარტო ძალადობით, არამედ მოტყუებითაც. რა თქმა უნდა, არა მრავალრიცხოვანი ხალხების კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, არამედ — ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ექსპერიმენტისათვის და ამ მიზნით მოსახლეობის და ქვეყნის ყველა სიმდიდრის, როგორც რესურსების, მასალის, ნედლეულის, მასის გამოყენებისათვის...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ, დაინახეს რა, რომ მოსახლეობის 90 პროცენტს არ სურს ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა, ძალაუფლების ხელში ჩამდებლებმა, იმის ნაცვლად, რომ უარი ეთქვათ ექსპერიმენტზე, თავად ჩამოცილებოდნენ ყველაფერს, ქვეყანას თავს მოახვიეს საშინელი, ჯერ არნახული ტერორი, რომლის შედეგადაც მოსახლეობის მესამედზე მეტი განადგურდა....

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ პარტიის სახელით გაჩაღდა სისხლისმღვრელი, ძმათამკვლელი ომი, ხოლო ერის საუკეთესო ნაწილი, თუკი ნაწილობრივ მაინც გადაურჩა ამ ომს, ქვეყნის საზღვრებს იქით განდევნეს...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად პარტიის ხელით განხორციელდა მეფის ოჯახის, უცოდველი ბავშვებისა და ქალების, მკვლელობის ვანდალური აქცია...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ თავიანთი მმართველობის მანძილზე მმართველები, არომევდნენ რა გლეხებს მთელ პურს, მრავალჯერ ახდენდნენ შიმშილობის ინსპირირებას, რომელიც მილიონობით სიცოცხლეს სპობდა, კაციჭამიობამდე, ბავშვების ჭამამდე მიჰყავდა ხალხი...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ კიდევ მეტი სისასტიკით ახშობდნენ, სისხლში ახრჩობდნენ სასტიკი ძალადობის წინააღმდეგ ბუნებრივად აფეთქებულ მთელ ციმბირსა და შუა აზიაში გაშლილ პუტილოვის, კოლპინოს, იპორსკის, კრონშტადტის, იაროსლავის, ასტრახანის, იჟევსკის, პერმის, პენზას, ტამბოვის მრავალრიცხოვან აჯანყებებს...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ პარტიის სახელით მოხდა დონის და ყუბანის კაზაკების (რუსეთის გაკაზაკება) მასობრივი განადგურება, როცა საგანგებო რაზმების ჯარები მთელ სტანიცებს, ქალიან-ბავშვიანად, ანადგურებდნენ...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ შიმშილთან ბრძოლის საბაბით (როშელსაც თავად იწვევდნენ ხელისუფლებისა და ქვეყნის ხელში ჩამგდებნი) გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები, საიდანაც საუკუნეების მანძილზე ნაგროვები განძი გაიტანეს...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ მუსულმანების დასახლების ადგილებში ასობით მეჩეთი და მედრესე, აგრეთვე, მოლა და მასწავლებელი გაანადგურეს...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ მარტო ბურიატიაში 1936 წელს დაწვეს 36 ბუდისტური ტაძარი (დაცანი) თავისი ბიბლიოთეკებით, ისტორიული, მხატვრული და მატერიალური ფასეულობებით...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ მთელ ქვეყანაში, როგორც ამბობენ, მონასტრებისა და ტაძრების 90 პროცენტი გაანადგურეს, მარტო მოსკოვში კი 450 ტაძარი დაანგრიეს...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ 1929-1930 წლებში ჩატარდა გლეხების იძულებითი კოლექტივიზაცია, რასაც მოჰყვა ექვსი მილიონი (ანუ რამდენიც იყო) ყველაზე ძლიერი მეურნეობის (15 მილიონამდე ადამიანის) განადგურება. ყაზახეთში, მაგალითად, ამას მოჰყვა მრავალმილიონიანი რემების, ფარებისა და ჯოგების განადგურება...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ კოლექტივიზაციამ გამოიწვია გლეხის ჩამოშორება მიწის, დაინტერესებული შრომისაგან, ყოველივე ის, რასაც დღეს ჩვენ რუსეთის გლეხებისაგან დაცლას, მიწათმოქმედების სრულ დაკნინებას, სოფლის მთლიანად დაცემას, მიწის სარევლებითა და ნაყოფიერი მინდვრების ბურცობებითა და ბუჩქებით დაფარვას ვეძახით.

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ ქვეყანა ათწლეულების მანძილზე დაფარული იყო ბანკების ქსელით, რომლებმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ ძალადობის, ჩაგვრის, უუფლებობის სისტემამ საზოგადოება დაშალა, მიიყვანა ის ზნეობის, ადამიანობის, სულიერების დეფიციტამდე, რამაც თავის მხრივ, დანაშაულის ტოტალური აყვავება გამოიწვია...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ დასცეს რა შიშის დამბლა, ყოველი მუხუთე ადამიანი საიდუმლო დამსმენად აქციეს, და ამით მოსახლეობის არანაკლებ მეხუთედისა დამატებით გააუპატიურეს და ზნეობრივად გახრწნეს. რადგან ხომ არ შეიძლება ზნეობრივად სრულფასოვან პიროვნებად ჩაითვალოს საიდუმლო დამსმენი.

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ ცრუობდა რა ქვეყანაში ბატონობის პირველი დღეებიდანვე, აკეთებდა რა ამას მთელი სამოცდაათზე მეტი წლის მანძილზე და ბევრჯერ დღესაც რომ ცრუობს, პარტიამ, მიაჩვია მოსახლეობა სიცრუეს, აქცია სიცრუე ქვეყნის ცხოვრების კანონად, დამატებით, ყველა ზღვარს იქით, მორალურად და ზნეობრივად გახრწნა. სიცრუე პარტიას სჭირდებოდა და იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციონერ-ექსტრემისტთა ჯგუფის დიქტატურას პროლეტარიატის დიქტატურად ასაღებდნენ, არადა ამ ინტელიგენტების (ნაბევრადინტელიგენტი), ექსტრემისტების ჯგუფმა თავად გამოაცხადა თავი მუშათა კლასისა და გლეხობის ავანგარდად. სიცრუე იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყნის ძარცვას ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას ეძახდნენ, ადამიანის (ადამიანების) არნახულ დამონებას — არნახულ თავისუფლებად, მოსახლეობის გაღატაკებას მის აყვავებად ასაღებდნენ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, შავი თეთრად საღდებოდა...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ ადამიანთა მმართველმა ჯგუფმა ათეულობით წლების მანძილზე, პარტიის სახელით რომ ახვევდა თავს თავის ნებას ქვეყნის მოსახლეობას, და ვერავითარ ურჩობას, თვით განსხვავებულ აზრსაც კი ვერ ითმენდა, ამ გზით გახრწნა ადამიანთა ფსიქოლოგია, აქცია ისინი მორჩილ და უსიტყვო მონებად (ურჩებსა და მყვირალებს ანადგურებდნენ)...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ პარტიის სახელით მთელი ხალხები განდევნეს თავიანთი ისტორიული საცხოვრებელი ადგილებიდან ყაზახეთის სტეპებში, უდაბნოებსა და ტაიგაში, სადაც დაიღუპა ამ ხალხთა სამი მეოთხედი...

...ᲘᲛᲐᲨᲘ, რომ თავისი ასეთი მოქმედებით პარტიამ (ის ხომ ჩვენში მუდამ ხალხების მმართველი და წარმმართველი იყო) ქვეყანა ბოლო ზღვარამდე მიიყვანა, ჩააგდო რა ის ისეთ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სოციალურ, ეროვნებათშორის, ეკოლოგიურ უბედურებებში, რომ დღეს არავინ იცის, როგორ შეიძლება ამ მორევიდან თავის დაღწევა.

და აი იმის ნაცვლად, რომ ხმამაღლა, ყველას გასაგონად უთხრას მოსახლეობას ყველა ამ დანაშაულზე, პარტია ინარჩუნებს თავის სახელწოდებას, ისე იქცევა, თითქოს ეს ყველაფერი არ მომხდარა და ბრმა, ფანატიკური სიჯიუტით აგრძელებს უტოპიურ, თავად ცხოვრების მიერ მხილებული სოციალიზმის, კომუნიზმის მშენებლობის, მარქსიზმ-ლენინიზმის (რატომ სტალინიზმის არა?) იდეებზე ტგომას, ანუ აღებული აქვს ხალხების საბოლოო გამოფიტვის, გაველურების, გადაშენების კურსი.

პასუხი რედაქციას

20 ივლისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დასტამბულია წერილი — „მე — მომავალი მკვლელი“ (ხელს აწერს მ. სვანაძე,თბილისი, ზემო ვეძისი). წერილში აღნიშნულია, რომ მ. სვანაძე 20 წელიწადია იბრძვის ბინის მიღების აღრიცხვაზე ასაყვანად, რასაც უქრთამოდ ვერ მიაღწია და მხოლოდ ეროვნული მოძრაობის დახმარებით გახდა შესაძლებელი მისი ოჯახის აღრიცხვაზე აყვანა, თუმცა როგორც წესი, ეროვნული მთავრობის არჩევის შემდეგაც იმავე მექრთამეებთან ჰქონია საქმე. იგი კატეგორიულად ითხოვს სანინაო პირობების გადაწყვეტას, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯის განაჩენი აქვს გამოტანილი ექვსი მოქალაქისათვის.

პატივცემულო რედაქცია, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რატომ იქნა დასტამბული გაზეთში შეუმოწმებელი მასალა, მაშინ, როდესაც საქმის რეალური ვითარება ასეთია: წერილის ავტორი მურთაზ სვანაძე ჩაწერილია თბილისში, ჯავახიშვილის II ჩიხის № 6-ში 1983 წელს (გადმოეწერა ქ. რუსთავიდან), სადაც მეუღლე ტ. ოსეფაიშვილი ჩაწერილი იყო 1963 წლიდან, 1988 წელს კი ჩაიწერა 1972 წელსა და 1979 წელს დაბადებული შვილები. სახლის საერთო ფართობი შეადგენს 206 კვადრატულ მეტრს, ირიცხება სამი მოქალაქის სახელზე და ჩაწერილია 13 სული. ოსეფაიშვილ-სვანაძეს არ გააჩნიათ ქირავნობის ხელშეკრულება რომელიმე მეპატრონესთან. უფრო მეტიც: სიტყვიერად განმარტეს, რომ ჩაწერილები არიან ნათესავთან, ერთ-ერთ მეპატრონესთან— დუდუჩავასთან, რომლის ორსულიან ოჯახს (თვითონ, მეუღლე) უკავია მთლიანად სახლის მეორე სართული — 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი იზოლირებული ბინა, რომლის საერთო ფართი შეადგენს 93,6 კვ. მ. ხოლო საცხოვრებელი ფართი 79,6 კვ. მ. ამ ფართში ჩაწერილია სვანაძის 4-სულიანი ოჯახი (თვითონ, მეუღლე, 2 შვილი). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმების დროს დუდუჩავას ოჯახმა წარმოადგინა წერილობითი ცნობა იმის შესახებ, რომ ოსეფაიშვილი მათთან ჩაწერილია 1963 წლიდან, მაგრამ მას ერთ დღესაც არ უცხოვრია ამ მისამართზე. მეუღლესა და შვილებს კი საერთოდ არ იცნობენ.

ტ. ოსეფაიშვილმა 1987 წელს განცხადებით მიმართა კალინინის რაისაბჭოს აღმასკომს ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის მიზნით 5 სულზე (თვითონ, მეუღლე, 2 შვილი, გმირი დედა). დედა ე. ს. ოსეფაიშვილი ჩაეწერა შვილთან 1986 წლის აპრილში, ხოლო ჩოხატაურის რაიონიდან ამოწერილი იყო 1984 წელს. ვინაიდან ოსეფაიშვილის ოჯახი ჩაწერილია დიდ ფართობში და ამავე დროს არ წარმოადგინეს სათანადო საბუთები, ეს ოჯახი ვერ იქნა აყვანილი ბინის მიღების აღრიცხვაზე (დედა ამის შემდეგ ამოწერილ იქნა, მაშინდელი ხელისუფლება კი აღარ გამოედავა ოჯახს საპასპორტო რეჟიმის დარღვევით ცხოვრების თაობაზე).

1990 წელს კომუნისტური რეჟიმისათვის ჩვეული პროტექციონიზმისა და უპრინციპობის შედეგად მათი ოჯახი აყვანილ იქნა აღრიცხვაზე სანინაო დებულების დარღვევით.

გასულ წელს ბინით დაკმაყოფილდნენ საერთო სიით 1969 წლის ჩათვლით აღრიცხვაზე მყოფი ოჯახები, ხოლო ოსეფაიშვილი-სვანაძის ოჯახზე წინ აღრიცხვაზე იმყოფება 3 ათასზე მეტი მოქალაქე, რომლებსაც აქვთ მწვავე სანინაო პირობები და მათი დიდი უმრავლესობა მკვიდრი თბილისელია.

ᲒᲔᲚᲐ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ

მთაწმინდის რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ



ქართული მართმადიდებლური ეკლესია რეაქციასთან ბრძოლაში

ქვეყნიერების სფეროს დასაბამიან საკთოველი ისეთ პირობებში, ჩვენთან, რომ ძმეულები გახდა, რომელსაც მძლავრ სახელწოდის შეკავშირება. ქრისტიანობის ზეგავლენა გუნდურველი. კაოიშე მტრებთან ფუთასაწორო ბრძოლაში ლოგინიდოდა ეროს ოფალში ჩოდილოდა. ბიპაოო. ეგეა ქრისტე ზენაოვი ფალი ეროს ოფალ ოფალ ბალ. ბრეოდოდ ბალ ოფალ ბალ. ბრეოდ ბალ. ბ. ბ. ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ რეგ ... ვიყოთ, მეფეო!...

— უძრაობის იმ წლებში, როცა მილიცია არცთუ სახარბიელო რეპუტაციით სარგებლობდა, რამ განაპირობა თქვენს მიერ საკუთარ „უწყინარ“ პროფესიაზე ხელის აღება და მილიციის ორგანოებში მოსვლა?

— რუსთავში გავიზარდე. ისეთ უბანში, სადაც ყოველი მესამე ნასამართლევი იყო. ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ. ბავშვობაში ასე მჯეროდა, რომ ყოველგვარი ბოროტების ბუდე დამნაშავეთა სამყარო იყო. ამიტომაც, ალბათ, ჩემი ქალაქის სიყვარულმა მომიყვანა მილიციაში. იურიდიულ ფაკულტეტზე ჩასაბარებლად ორი წლის სტაჟი იყო საჭირო, ამიტომაც სხვაგან ამოვყავი თავი, თუმცა კარგად ვიცოდი, ჩემი მოწოდება რაც იყო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მე შემეძლო ავტოინსპექციაში ან „ობუხეეს“-ში მემუშავა, მაგრამ ჩემი მოწოდება ყოველთვის დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ახლაც არ ვიცი, რატომ. ამას ჩემთვის ერთგვარი აზარტიც ახლავს.

— მართალია, ბალუაკი ამბობდა, რომ სანახევროდ პატიოსნება არ არსებობს — იგი ან გაქვს, ან არა, მაგრამ ჩვენი წარსული სინამდვილის გათვალისწინებით, მგონი, შეიძლება, მესამე ხაზომის — შედარებითი პატიოსნების ხმარებაც. თქვენც იმ უძრაობის წლებიდან მოდიხართ. ჩემი აზრით, მაშინ შეუძლებელი იყო მილიციის მუშაკებს, ასე ვთქვათ, ხუფთად ემუშავათ (ერთეულების გარდა). რომელი ხაზომით შეაფასებდით თქვენს მუშაობას დღევანდელი გადახედვიდან?

— გამოგიტყდებით, ჩიხში მომაქციეთ. თუმცა არასოდეს ვცდილვარ, ვინმესთვის თავი თეთრ ყვავად მომეჩვენებინა, ერთი რამ ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო: სამართალდამცველებში სისხლის სამართლის სამეგბროს ხალხი ყველაზე პატიოსანია. აქ დღემდე არასოდეს არავის უცდია, მხოლოდ სარფიანად ემუშავა. ჩვენი იდეალი ფული არ ყოფილა. დღედაღამე გარეთ ვიყავით, არავისგან არაფერს გამოველოდით, მაგრამ არ გვიცდია სხვა სამუშაოზე გადასვლა. ჩვენ ვიცოდით, რომ კაცს, რომელმაც ერთხელ იქურდა, თუ რაღაც გამოსძალე, ის მეორეჯერაც იქურდებს. არ შეიძლება რომ ქურდს, ნარკომანს დაუსჯელობის გრძნობა ფულის იმედით ჰქონდეს.

— ეს გახაგებია, მაგრამ თქვენ ჩემს შეკითხვას თავი აარიდეთ — მაინტერესებს, ხაკუთარ თავს მაინც რომელ ხაზომს მიუყენებდით?..

— ... შედარებით პატიოსნისას... მე არასოდეს ვცდილვარ, სხვისი ცრემლით გავმდიდრებულიყავი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ოჯახში სისხლიანი ფული არ შესულა და არც არასოდეს შევა.

— ბევრი თქვენ კოლეგა კატანის გადარეთ. ალბათ, დამეთანხმებით, კატანის, ახე თუ ეხე, ჰქონდა პირობები, ბოლომდე უკომპრომისო ყოფილიყო მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენ?

— ხელისუფლებისაგან ყველა პირობა მაქვს საამისოდ. მაგრამ დიდ წინააღმდეგობას ვაწყდები როგორც დამნაშავეებისაგან, ისე მათი მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიისა თუ დაჯგუფებისაგან. მე მრმაჩნია: ან ბოლომდე უნდა იბრძოლო და ასეც იქნება, რადგან არავისი არ მეშინია, ან უნდა გადადგე. ყოველ შემთხვევაში, კატანივით ნაადრევად სიკვდილს არ ვაპირებ.

— ხაინტერესოა, ადრე თუ გიცდიათ რუსთავის კანონიერი ქურდების დაპატიმრება. აკი ბავშვმაც კი იცის, თავის უბანში ვინ ვინ არის... ზოგი თვლის, რომ თქვენ დღეს ამას „სტავკის“ ახაწევად აკეთებთ.

—როცა მე რუსთავში ვმუშაობდი (1969 წლიდან 1979 წლამდე) ქალაქში არც ერთი კანონიერი ქურდი არ ყოფილა. ეს არ იყო მხოლოდ ჩემი დამსახურება. კანონიერი ქურდის სახელის მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო — ჯერ უნდა მოიპარო, მერე გარკვეული ჯგუფები შექმნა და ა. შ. ჩვენ ქურდებს ამის საშუალებას არ ვაძლევდით. ამიტომაც ის ათი წელი ქალაქი დასვენებული იყო. მართალია 1969 წლამდე, ერთი-ორი კანონიერი ქურდი კი გვყავდა, მაგრამ მათ ამ საქმეს მერე თავი მიანებეს კიდეც.

— თქვენი ხაუბრიდან მრჩება შთაბეჭდილება, რომ იმ ე. წ. უძრაობის წლებში მილიციას ჰქონდა პირობები წარმატებით ებრძოლა დამნაშავეობასთან...

— სულაც არა, პირიქით, შეიძლებოდა, რომელიმე პარტიულ ხელმძღვანელს დაერეკა და გუშინდელი მკვლელის განთავისუფლება ებრძანებინა. მაგრამ მაინც ვახერხებდით, გვეჩვენებინა, ვინ ვინ არის.

— ეხე იგი, თქვენ ამბობთ, რომ მცდარია ახლა გაბატონებული აზრი და მაშინ მილიცია ხულაც არ ყოფილა „შეკრული“ დამნაშავეთა ხამყაროსთან.

— რუსთავში 1979 წლამდე არავინ არ ყოფილა მათთან „შეკრული“, იმიტომ კი არა, რომ კომუნისტური რეჟიმი არ გვაძლევდა ამის საშუალებას. უბრალოდ, დამნაშავეს კლასობრივ მტრადაც კი მივიჩნევდით. მე იმ წყობილების დროსაც კაცურად ვიმსახურე. რუსთავში დამნაშავეთა სამყარო 1979 წლიდან აღზევდა. კერძოდ, თვითონ მილიციის უფროსმა ჩამოიყვანა ქალაქში კანონიერი ქურდი. ვითომ მას წესრიგი უნდა დაემყარებინა ქალაქში. მაგრამ განა ძაღლი ძაღლის ტყავს დაზევს? ამის მერე აღიზარდა რუსთავის ქურდების მთელი პლეადა (მე მაშინ გარდაბანში ვმუშაობდი). მრცხვენია, მაგრამ რუსთავის მილიციის ზოგი თანამშრომელი მათ შეხვედრისას გადაკოცნიდა ხოლმე. ვითომ ვერც ამჩნევდნენ დამნაშავეთა ქამარში გარჭობილ იარაღს. ქალაქი მათ მორჩილებდა, შეიქმნა დამნაშავეთა სინდიკატები. ეს უკანასკნელ წლებამდე გრძელდებოდა. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი რეჟიმს გადავაბრალოთ. უბრალოდ, ყველას თავის საქმე უნდა ეკეთებინა. გახსოვთ, რა ლამაზად ეუბნება მეჯინიბე „დავით აღმაშენებელში“ მეფეს: ჩემო მეფეო, თითოეული რომ ჩვენს საქმეს კარგად ვასრულებდეთ, შენი სარკმლიდან დილის ხუთ საათზე სანთლის შუქი არ გამოვიდოდაო. რა დასამალია, რომ ქურდების ნადავლი ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ყულაბაშიც ხვდებოდა.

— ბატონო ფრიდონ, ახე რომ, თქვენს მიერ დაწყებულ ბრძოლაში კადრებს დიდი მნიშვნელობა აქვს — ყოველი მილიციელი თავად უნდა იყოს პატიოსანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, არაეთიკურია (რაც მთავარია, ხალხს რწმენას უკარგავს) როცა დამნაშავეს დამნაშავე იჭერს. თქვენს კადრებზე რას იტყვით?

— მე დავითხოვე ისინი, ვისაც ხალხში ავტორიტეტი არა ჰქონდა, მათ ნაცვლად მოწვეულთაგან ბევრი უმუშევარი იყო და ძველი უფროსებისაგან გამოგდებული. ნათქვამია, თევზი თავიდან ყროლდებაო, მე ასე მწამს — თუ ხელმძღვანელობა კარგად მუშაობს, ყველამ კარგად უნდა იმუშაოს.

— ბევრჯერ თქმულა იმის თაობაზე, რომ ჩვენი და საზღვარგარეთის პოლიციის პირობები მეტად განსხვავებულია. ამაზე, ალბათ, არც ღირს ხაუბარი. მაინტერესებს, რა გიშლით ხელს მუშაობაში ახეთი, რახი გამოსწორებაც ჩვენს პირობებშიც შეიძლება?

— როცა ამერიკის ერთ-ერთი შტატის ბიუჯეტში მილიონობით მოგება დაგროვდა. გადაწყვიტეს, პოლიციისათვის ბანკში ანგარიში გეხსნათ პოლისმენთა და იმ ანონიმურ პირთა წასახალისებლად, პოლიციას რომ ეხმარებოდნენ და ა. შ. ჩვენ რა დავაშავეთ? ნაკლები მილიონერები გვყავს? უამრავ კოოპერატივსა და ქარხანას აქვს კავშირი საზღვარგარეთთან. რა მოხდება, რომ მათ ჩვენთვის შეეძინონ სპეცაპარატურა, იარაღი, ტექნიკა. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, უც ხოურ მანქანებში გამოჭიმულ დამნაშავეებს ჩვენი „უაზებით“ ვებრძვით. მათი მაქსიმალური სიჩქარე კი 80 კილომეტრია საათში. მადლობას მოვახსენებ მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას, რომელმაც დამცველი ჟილეტები გვიყიდა ავსტრიაში და აპარატურასაც დაგვპირდა. რუსთავის პრეფექტი — თემურ ჯანელიძე ყველაანაირად გვეხმარება, მხარში გვიდგას. მაგრამ მხოლოდ მისი ენთუზიაზმი, ძალისხმევა არ კმარა — მილიციელთა ეკონომიკური მდგომარეობა საერთოდ უნდა გაუმჯობესდეს. ძნელია, კაცს, დღეს რომ 300 მანეთი აქვს ხელფასი, ხალასი პატიოსნება მოთხოვო.

სხვათა შორის, აქვე მინდა ვთქვა, რომ გადაწყვეტილია მილიციის მიერ ყველა მსხვილი დაწესებულების, ქარხნის, საწარმოს დაცვა ბოროტმოქმედთა ჯგუფების შემოტევისაგან. ცნობილია, რომ ადრე, ეგრეთწოდებული, ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველა სფეროს კანონიერი ქურდები აკონტროლებდნენ.

— ბატონმა გიორგი ჭანტურიამ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე არცთუ ხახარბიელოდ მოგიხსენიათ. თქვენი კომენტარი?

— მან თქვა, თითქოს მე მთავრობის შეცვლის დღეებში ბარგი ჩალაგებული მქონდა და მოსკოვში ვაპირებდი გაქცევას. უნდა გითხრათ, მე ერთი ჩვეულებრივი რიგითი მუშაკი ვიყავი, მოსკოვში გასაქცევი რა მჭირდა? მაგრამ მე ვთვლი, რომ ბატონმა გიამ მოსკოვში პირადი ინტერესების გამო დამაბეზღა. კერძოდ, მე დავაპატიმრე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი და მისი ძმა, პირველი უკვე გაასამართლეს კიდეც.

— ზოგ რაიონში ერთგვარი უთანხმოებაა მილიციასა და ეროვნულ გვარდიას შორის. თქვენ რას იტყოდით ამაზე?

— მე მთელი არსებით მივესალმები ეროვნული გვარდიის შექმნას. საწყენი ის არის, რომ გვარდიასთან რამდენჯერმე მოგვიხდა კონფლიქტი. ერთ-ერთმა გვარდიელმა დაუმსახურებლად მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა ჩვენი მილიციის თანამშრომელს; მეორემ (იგი ერთხელ ნასამართლევია, ხოლო მის ძმაზე საკავშირო ძებნაა გამოცხადებული) აგრეთვე ფიზიკურად შეურაცხო ავტოინსპექციის სგუშაგოზე ჩვენი თანამშრომელი. მესამე შემთხვევაზე ჯერჯერობით დუმილს ვამჯობინებ.

— ალბათ, იცით, შეიქმნა ფირმა „დეტექტივი“. ჩემი აზრით, ის თქვენი კონკურენტია. კონკურენცია კი, დამეთანხმებით, ახლებურ მუშაობას მოითხოვს. როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?

— ამ ფირმაში ისინი მუშაობენ, ვის მაგალითებზეც ჩვენ ვიზრდებოდით. ცხადია, ერთმანეთთან კონკურენციის პრინციპის საფუძველზე უნდა ვითანამშრომლოთ — მე მათ ინფორმაციას მივაყიდი, მათგან კი ვიყიდი. თუ დამნაშავეს ისინი იპოვნიან და დაგვეხმარებიან, მადლობის მეტი რა გვეთქმის. მათ ბევრს უხდიან. თუ ჩვენი პირობები არ გაუმჯობესდება და რომელიმე მოქალაქე დანაშაულის გახსნისათვის წაგვახალისებს, ეს ქრთამად არ უნდა ითვლებოდეს.

— ოპერაციებში მონაწილეობისას ოდნავი შიშის გრძნობაც არა გაქვთ? როგორ არის ამ მხრივ თქვენი ოჯახი განწყობილი?

— განა ჩვენს წინაპარს ეშინოდა სიკვდილის, ომში რომ მიდიოდა? ჩვენც დღედაღამ ომში ვართ. შეიარაღებული დამნაშავის პირისპირ მყოფს ოდნავი შიშის გრძნობაც არ მაქვს. ის კი არა, ვცდილობ, პირველი შევეგებო ტყვიას, პირველი დარტყმა მივიღო. საშიშროებისას შედარებით გამოუცდელს ჩემზე წინ არ ვუშვებ ხოლმე. ამ ექვს თვეში ჩვენს მიერ ჩატარებულ ოპერაციათაგან თითქმის 99 პროცენტში მე თვითონ მივიღე მონაწილეობა, მაგრამ ვერაფერს მივაღწევდი, თუ არა ჩემი ბიჭები — ჩემი თანამშრომლები. ყველა მათგანი სამაჩაბლოში იბრძოდა, ყველას გმირებად ვთვლი. დღედაღამე გარეთ არიან, ტყვიას უშვერენ მკერდს. მუდამ იარაღი ჯარისკაცსაც კი არა აქვს ასხმული. ჩვენ მუდამ ომში ვართ.

ახლა რაც შეეხება ოჯახს, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი მყავს. ჩემი მეუღლე ფილოლოგია, მაგრამ იმასაც ჩემს თანამშრომლად ვთვლი. არასოდეს უთქვამს, თავი დაანებე დღედაღამე გარეთ ყოფნას, ოჯახს მიხედეო. მას ესმის ჩემი. ასე რომ არ იყოს, ერთად არც ვიქნებოდით. ჩემი პროფესია ჩემი ცხოვრების აზრია.

ეხაუბრა
მაია თუნგია

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ქართველი კაცის მეექვსე გრძნობაა. ქართველი ერისათვის დამახასიათებელი ამ უკეთილშობილესი გრძნობის კიდევ ერთ გამოვლინებად აღიქმება მამია ჩორგოლაშვილის წიგნი, რომლის სათაურად ავტორს შეურჩევია ქართველი ხალხის დიდი მეგობრის ნიკოლოზ ტიხონოვის ლექსის სტრიქონები „...თითქოს აქ ვიყო დაბადებული“.



უცხო ტომის მრავალი სახელოვანი მოღვაწე დაბადებულა და აღზრდილა საქართველოში. მათი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა ჩვენს ქვეყანას, მამია ჩორგოლაშვილს რუდუნებით მოუძიებია ამ ადამიანთა სახელები და ერთ მშვენიერ წიგნად აუკინძავს. საქართველოს 103 მეგობრის სახელს და საქმიანობას გვაცნობს ავტორი. რაღა თქმა უნდა, მათგან ბევრის შესახებ უკვე გვსმენია კიდეც და ბევრი რამეც ვიცით, მაგრამ ბევრ ახალ სახელსაც, ბევრ საინტერესო ამბავსაც გაიგებს ფართო მკითხველი.

ეს წიგნი ყოველთვის იქნებოდა საჭირო, მაგრამ მითუმეტეს საჭიროა დღეს, როცა ბევრი რამ გადაფასდა, როცა დაიმსხვრა ბევრი კერპი და გამომზეურდა ბევრი მივიწყებულ სახელი ჭეშმარიტი მოღვაწისა.

მამია ჩორგოლაშვილის წიგნი „...თითქოს აქ ვიყო დაბადებული“, რომელიც გამომცემლობა „ნაკადულმა“ დასტამბა, კარგი საჩუქარია არა მხოლოდ მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის, არამედ ყველასთვის, ვისაც აინტერესებს თავისი ქვეყნის ისტორია, კულტურა, მისი წარსული და დღევანდელობა.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲝ

რუსთავის მილიციის უფროსის — ფრიდონ კენკებაშვილის ქება ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მესმოდა ჩემი იქაური ნაცნობებისაგან. ამბობდნენ, ხალამოთი ქალაქში ველარ გამოვდიოდით, ახლა შედარებით უშიშრად ვგრძნობთ თავსო. „შაბათის სტუმრად“ ბატონი ფრიდონის მოწვევა ამ გარემობამ გადამწყვეტინა. მან 1968 წელს დაამთავრა ხაქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1969 წლიდან 1979 წლამდე რუსთავის მილიციის თანამშრომელი გახლდათ. შემდეგ კი გარდაბნის რაიონის ლილოს მილიციის ქვეგანყოფილების უფროსად მუშაობდა. ხულ ექვსი თვეა, ფრიდონ კენკებაშვილი რუსთავის მილიციის უფროსია. მიხი თაოსნობით გაკეთებულ ხაქმეზე ეს ციფრებიც მეტყველებენ:

6 თვის მანძილზე დაპატიმრებულია 5 კანონიერი ქურდი, 25 ქურდული ტრადიციების ე. წ. ლიდერი; ქურდების 16-ზე მეტი ჯგუფი; ახევე დაპატიმრებულია ავტომანქანების გამტაცებლების 5, ნარკოტიკების რეალიზატორთა 2 და სხვა ბოროტმოქმედთა 20 ჯგუფი. რაც შეეხება ეკონომიკურ დანაშაულს, აქაც გამოვლენილია ხახელმწიფო ქონების დატაცების 10 დანაშაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკით და სრულიად სერიოზულად

ცოტა რამ იმაზე, რაზეც ფიქრი გვიჭირს



ეს ადგილი უცნაური რამ არის. ჰაერიც სხვანაირია აქ. თითქოს სუნთქვაც სხვანაირად ეწყობა...

ეს — ჩვენთვის, ვინც სასაფლაოს ახლობელთა გახსასვენებლად თვლის. ვინც მძიმე და ბედნიერ წუთებში მიდის იმათთან, სულის ნაწილი რომ წაიღეს თან.

ეს — ჩვენთვის...

არის ადამიანი, რომლისთვისაც სასაფლაო სამსახურია. ჩვეულებრივად მიდის დილით, ბრუნდება შინ, მერე ისევ მიდის, მერე ისევ და...

ჩვენ ხანდახან უყურადღებონი ვართ მესაფლავეთა მიმართ, დაახლოებით ისევე, როგორც ვერ ვამჩნევთ მეტროს მემანქანეთა, მეეზოვეთა არსებობას...

როცა ღამდება ან როცა ქალაქის ცხოვრება ჩვეული სისწრაფით მიედინება, ადამიანები კი ისევ ჩქარობენ და როდესაც წუთით მაინც ყველა ჭირისუფალს თავისი მიცვალებული ავიწყდება, სწორედ ამ დროს ყველაზე ცარიელი ხდება სასაფლაო. მხოლოდ აქა-იქ თუ გაიგონებ ადამიანის სუნთქვას, იგრძნობ მის იქ ყოფნას...

ეს — მესაფლავეა. ის სამსახურშია.

ეს ის ადამიანია, რომელმაც ყველა დროს, ყველაზე კარგად იცის საფლავები — თოვლშიც და წვიმაშიც, მზეშიც და უმზეობაშიც, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს აქ მოსიარულე ჭირისუფლებს...

იქვე იყო, პირველივე საფლავთან ჩრდილში წამოწოლილი და ეძინა.

— რამდენი წელია აქ მუშაობთ?

— ოცი.

— ხიკვდილიანობით რომელი წელი დაგამახსოვრდათ ამ ხნის მანძილზე?

— წლევანდელი. მეტადრე ახალგაზრდები... ერთმანეთს ხოცავენ, რა დრო დადგა...

— ნანობთ რომ მესაფლავე ხართ?

— მე მუშა ვარ, შვილო. რა უნდა ვინანო აბა?

— ნიშნავს რაიმეს თითოეული საფლავი ვარდა იმისა, რომ ეს თქვენი სამუშაოა?

— მხოლოდ სამუშაოს. პატრონი რომ მოვა, მაჩვენებს ადგილს, მეტყვის, რომ ესე უნდა გასჭრა, ამა და ამ დროს უნდა დაასაფლაო. მე წესიერად გავაკეთებ, მოვეფსახურები, დავასაფლავებთ და მორჩა.

— ახალი საფლავები თუ იკრება ვაკის სასაფლაოზე?

—ერთ ან ორ თვეში ერთხელ. აი, მუხათგვერდში ხან არის, დღეში ოცი ან ოცდაბუთი საფლავი...

— რა ღირს საფლავის გაჭრა?

— ჭირისუფალი ტრესტში იხდის 76 მანეთს, ტრესტი ჩვენ 6 მანეთს გვაძლევს, და კიდევ — ჭირისუფალი რასაც გვაჩუქებს...

— თვეში სულ რამდენი გამოგდით?

400-450 მანეთი.

— თქვენ მუშაკაცი ხართ, ყველგან საჭირო. მაგ უახად სასაფლაოზე მუშაობას ხომ ყველაფერი ჯობია?

— რა ვქნა, შევეჩვიე. ცოტა ხანს გზის მუშა ვიყავი. მე აქვე ვცხოვრობ, ბაგებში. ადრე ბევრი ცხვარი გვყავდა. იმათ დავდევდი. აბა, ახლა კატებ ვეღარ ინახავენ... ორკლასნახევარი მაქვს განათლება, პენსიაზეც აქედან გავედი.

— კაცნი ვართ, „დრო მკურნალიაო“ — ამბობენ, მიტოვებული საფლავებიც ბევრია. მართლა ასე ადვილად ავიწყდება ხალხს თავიხი ახლობლები?

— არის ისეთი საფლავებიც, პატრონები რომ ჰყავთ, მაგრამ 10 წელიწადში ერთხელ მოდიან. ზოგი სხვაგან გადასახლებულია და ეგრე...

—არ გიჭირთ ყოველ დილით აქ მოსვლა?

— აბა რა უნდა ვუყო, აქ რომ ვმუშაობ?! სად წავიდე? ხანდახან ისე მომბეზრდება ხოლმე... თორემ ძალიან კი მინდა მე?

— მიცვალებული ყველას გვყავს და ხანდახან ისეც ხდება, მომვლელს ბევრი ფული თუ არ მიეცი, საფლავს არ მიგიხედავს.

— აბა, ეგ როგორ შეიძლება?! ჩვენთან მომვლელები სულ ქალები არიან. წყალს თავისი ზურგით კილომეტრიდან ეზიდებიან.

— საფლავის მოვლა რა ღირს?

— ვინ რას მოგცემს, ისეა. ხუთი, ათი მანეთი.

— თუ გიტირიათ სხვის საფლავზე?

— ე-ე... ჭვეწარმავალს არ მოუკვდეს შვილი... იცით, რა შვილები გვიკვდებიან? რამდენიც გინდა, იმდენი ცრემლი დამიღვრია ახალგაზრდებზე.

— ვინაც ახაფლავებთ, იცით?

— არასდროს არ ვიცი სახელი და გვარი.

— ქელეხში თუ წახულხართ?

— არასოდეს. არ წავალ მაინც, ხალებიც რომ დამიგონ.

— მეგობრებში მოლხენა გიყვართ?

— აბა, ეგ ვის არ უყვარს?

— ამდენი ხანია ხსვის ჭირს უყურებთ, ხახიათი არ გამოგეცვალათ?

— როგორ არა. ამ სიბერეში კი მაინც თუ ცოტა დალევა ზედმეტი მომივა, ცრემლი მერევა.

— კაცისათვის გაგირტყიათ?

— ჩემგან წკიპურტი არავის ახსოვს. ისე, რო გამაჯავრებენ სახლში, თქვენთან ბოდიში და — ვიგინები ხოლმე.

— საფლავთან ხალხი დიდხანს რჩება?

— როგორც კი შებინდდება, მიდიან. აი, გურამ რჩეულიშვილია აქ დასაფლავებული. ძალიან ხშირად მოდიან ახალგაზრდები.

— რამდენი საფლავი იქნება აქ?

— რა ვიცი, 36 წელიწადია ეს სასაფლაო გახსნილია... მილიონიმეთქი რომ გითხრათ, იქნებ არც მოგატყუოთ.

— დღეს რამდენია დასამარხი?

— ორი. საფლავი რომ გამეთხარა დილის 4 საათზე მოვედი. ძალიან ცხელა დღისით, მიჭირს მუშაობა...

— ხაიქიო ცხოვრებისა თუ გწამთ?

— რა ვიცი, ქართველი კაცი ვარ. მწამს, არა მწამს — უნდა ვიწამო... არსებობს, კი?! არავინ არის მნახველი და როგორ გითხრათ, აბა?

— ხიკვდილისა გეშინიათ?

— როგორც ყველა ადამიანს.

— ხიცოცხლე მშვენიერია?

— თქვენნაირ ახალგაზრდებს რომ ვუყურებ... მშვენიერია, მაშ. აი, როგორც ეს ვარდი.

(საფლავზე დარგული ვარდისაკენ მიგვახედა).

გაიღიმა...

მესაფლავეს საიქიო ცხოვრებისა არ წამდეს, უცნაურად მეჩვენება...

თუმცა, რატომ?

ეს — ჩვენთვის, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის არის სასაფლაო უცხო სამყარო, თორემ 65 წლის კაცი რომ მთელი ცხოვრება სამუშაოდ სასაფლაოზე დადის, ჩვენსავითვე როდი ჭვრეტს სამყაროს. სხვანაირადაა ის ურწმუნოც ან მორწმუნეც, მხიარულიც ან სევდიანიც...

უბრალოდ, შეიძლება ეს ის უჩვეულო კაცია, ვისთვისაც ამდენი საფლავი ერთად რაღაცას ნიშნავს...

რომ წამოვედით, ვიფიქრეთ, ალბათ ძილს შეიბრუნებს-თქო.

იქვე იყო პირველივე საფლავთან ჩრდილში წამოწოლილი და ეძინა.



აი, ცოტა რამ იმაზე, რაზეც ფიქრი გვიჭირს...

იქნებ არც იყო საჭირო ამის ცოდნა (როცა დაჭირდება, მაშინაც ეყოფა ადამიანს).

კიდევ და კიდევ რატომ გახსენებთ?

აი, რატომ:

იქნებ ყოველდღიურ ყოფას ცხოვრებას არც ვუწოდებთ?

იქნებ მზე და სიცოცხლე უფრო შევიგრძნოთ, ამის კითხვას რომ ჩავათავებთ?

იქნებ ვინმეს საფლავზე დიდი ხანია არ გავსულვართ... თორემ სხვა რა უნდა გვინდოდეს, მადლობა ღმერთს, წარსულის ხსოვნის პატივისცემა არ დაგვიკარგავს.

ხტუდიაში მუშაობდნენ:
თამუნა უთმელიძე
ბუბა ხულანიშვილი
დიანა გაბროშვილი

რუბრიკით და სრულიად სერიოზულად

რომ არ გაჩნდეს შავი ლაქა...

ამ გულისტკივილით სავსე წერილის ავტორი თურქეთში დაბადებული, წარმოშობით ქართველი კაცი — ალი ალთუნი გახლავთ. იგი 1979 წელს საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით ჩამოვიდა თბილისში სასწავლებლად. 1986 წელს დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. დღეს მას კარგად იცნობენ, როგორც მთარგმნელს: თურქეთში გამოიცა მის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“, დასაბეჭდად მზადდება ილიას „განდეგილი“, აკაკის „გამზრდელი“, ნოდარ დუმბაძის რომანები „თეთრი ბაირაღები“ და „მზიანი ღამე“.

აი, რამ აიფორიაქა ჩვენი თანამემამულე:

გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ეგიდით თურქეთიდან საქართველოში სასწავლებლად ჩამოიყვანეს 40-მდე, წარმოშობით ქართველი ახალგაზრდა (სხვათა შორის, წელსაც აპირებენ 40-მდე ახალგაზრდის სასწავლებლად ჩამოყვანას). იმ დროს მე ანკარაში გახლდით და ამის შესახებ ადგილობრივ ქართველთა სათვისტომოში შევიტყვე. იქვე შევიტყვე ის ფაქტიც, თითქოს საქართველოში სასწავლებლად წამოსულ თითოეულ ახალგაზრდას უნდა გადაეხადა 1500 დოლარი. ამ თანხის გადახდა ვითომ უკისრიათ ე. წ. ქართველ ბიზნესმენებს; ამის საპასუხოდ, საქართველოში წამოსასვლელად გამზადებული ახალგაზრდების ნაწილს, თურქეთში სტუმრად მყოფი ქართველი ბიზნესმენების საპატივსაცემოდ, შეუგროვებია თანხა — თითოეულს 200-300 დოლარი.

ამ ფაქტმა ჩემი დიდი დაეჭვება და გაოცება გამოიწვია, რადგან თავად 12 წლის წინ სწორედ ხსენებული საზოგადოების ხაზით ჩამოვედი საქართველოში, ჩემს მეგობრებთან ერთად, და ჩვენთვის ასეთი რამ ყოვლად უცხო იყო. შევეცადე ანკარის სათვისტომოში ამ ფაქტის შესახებ ჭეშმარიტება დამედგინა. სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატონმა რ. შაპინმა, საზოგადოების რამდენიმე წევრის თანდასწრებით განმიცხადა, რომ ამ დღეებში თურქეთში იმყოფება ვიღაც ქართველი მსახიობი, რომელმაც თურქეთის მოქალაქე თუფან იუქსელთან ერთად დაადასტურა ქართველი ბიზნესმენების მიერ დაფინანსების ამბავი. რაც შეეხება თუფან იუქსელს, ეს ის პიროვნება გახლავთ, რომელმაც თბილისში წამომსვლელი ახალგაზრდებისაგან ვითომ ქართველი ბიზნესმენების საპატივსაცემოდ შეგროვილი ფული აიღო. ბლეფის ამ „ოსტატმა“ საქმე ისე ააწყო, რომ თბილისში თურქეთიდან ჩამოსული „მოკავშირეების“ საშუალებით ადგენდა საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებით მოწვეული პიროვნებების მისამართებს, შემდეგ კი აქ ჩამომსვლელებს სთხოვდა ვითომ მის მიერ გაწეული ხელშეწყობისათვის მისთვის გადაეზადათ 200-300 დოლარი.

ამავე დროს თურქეთში იმყოფებოდა საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თანამშრომელი ბატონი რევაზ შამათავა — თურქი ახალგაზრდების საქართველოში სასწავლებლად ჩამოყვანის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ბატონმა რევაზმა ანკარის სათვისტომოში განაცხადა, რომ ეს აქცია არავითარ ქართველ ბიზნესმენებს არ დაუფინანსებიათ და ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდების უფასოდ სწავლება უზრუნველყოფილია საზოგადოების მიერ.

ბატონი რ. შამათავა და მე შევთანხმდით, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეეხვედროდით იმ ახალგაზრდებს და დაგვედგინა ჭეშმარიტება. ამის შესახებ შევატყობინეთ იმ დროინდელ საქართველოს მინისტრთა საბჭოს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგეს ბატონ ნოდარ კოტახიძეს. მისი ინიციატივით შედგა შეხვედრა საზოგადოებაში გასული წლის ოქტომბრის ბოლოს. სხდომას ესწრებოდნენ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლები: მინისტრთა საბჭოს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ბატონი თ. კუნჭულია და რეფერენტი ბატონი ა. ჩიკვაიძე. კრებას აგრეთვე ესწრებოდა ანკარის ქართველთა სათვისტომოს წევრი ბატონი შურსელ ჩეთინი. კრება გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ბ-მა ავთანდილ გოცირიძემ (მან მოუცლელობის მომიზეზებით გახსნისთანავე დატოვა კრება). უნდა აღინიშნოს, რომ კრებაზე ყველას ჰქონდა საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით. ანკარაში გამოთქმული აზრი, რომ ე. წ. ქართველმა ბიზნესმენებმა თითოეულ ახალგაზრდაზე 1500 დოლარი გადაიხადეს, თითქმის ყველამ დადასტურა. ისიც ითქვა, რომ ახალგაზრდებიდან

(დასასრული ბე-ს გვ.)

ალორძინების ერგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება! ყურადღება!

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ბიზნესისა და ეკონომიკის ასოციაცია (ახალგაზრდა ბიზმესმენთა კავშირი), აშშ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან „ინტერნეშენალ სერვის სენტერ"-თან ერთად, მრეწველთა კავშირის, მართვის ინსტიტუტის მართვის კათედრის, საქართველოს ბავშვთა ფონდის, საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგოს" ხელშეწყობით აწყობს საზაფხულო სკოლას. 11-დან 18 აგვისტომდე ამერიკელი დოქტორი პრისცილა იანგი წაიკითხავს ლექციებს, როგორც უფროს კლასელთათვის და სტუდენტთათვის, ასევე ბიზნესისა და ეკონომიკის კურსის ლექტორ-მასწავლებლებისათვის. წაკითხულ იქნება შემდეგი ლექციები და მოხსენებები.

1) ლექტორ-მასწავლებლებისათვის:

— ბიზნესის გავლენა და მისი როლი ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

— 2000 წლამდე ბიზნესის სწავლების ძირითადი პრინციპები.

— მისი სწავლების მოკლე და გრძელ ვადიანი მცირე და ფართო მასშტაბიანი პროგრამები, მათი მიზნები და ამოცანები;

— ბიზნესის კურსის წარმართვის მეთოდები და ხერხები.

— როგორ განუვითაროთ აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი ახალგაზრდებს.

— ახალგაზრდული ბიზნეს-კლუბების ორგანიზება.

2). უფროს კლასელთათვის და სტუდენტებისათვის.

— ბიზნესის როლი თანამედროვე მსოფლიოში.

— ბიზნესის საფუძვლები და ეკონომიკური განათლების ძირითადი პრინციპები.

— კულტურათაშორისი ღირებულებები და კომუნიკაცია.

— როგორ გავიუმჯობესოთ კომუნიკაციური ჩვევები.

— საქმიანი და პიროვადი ურთიერთობების ორგანიზება.

— ახალგაზრდული ბიზნეს კლუბები და მათი საქმიანობა.

გაიმართება სჯა-ბაასი მრგვალ მაგიდასთან:

— ბიზნესისა და ეკონომიკის ცალკეული დისციპლინების სასწავლო პროგრამების ძირითადი პრინციპების

— მისი სწავლების სისტემის შემუშავებისა და დანერგვის.

— საქართველო-ამერიკის საქმიანი და სასწავლო-სამეცნიერო წრეების შემდგომი ურთიერთობების შესახებ.

დასწრება შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას 14-20-წლამდე, რომელიც დაინტერესებულია ბიზნესით და ეკონომიკით და სურვილისამებრ წარმოადგენს თავის პროექტს ახალგაზრდული ბიზნესის, ბიზნეს კლუბების საქმიანობის ან სხვა ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

ვიწვევთ აგრეთვე სხვადასხვა ინსტიტუტების, კოლეჯების უნივერსიტეტების და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებს, რომელთაც აგრეთვე სასურველია წარმოადგინონ თავიანთი პროექტები ახალგაზრდა ბიზმესმენთა კავშირის შემდგომი საქმიანობის განვითარების და მასთან შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

კურსების მონაწილეებმა სასურველია იცოდნენ ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული ენა, განსაკუთრებით ინგლისური.

ლექციები ჩატარდება თბილისის ზღვაზე. მსმენელები აქვე დაბინავდებიან კომფორტაბელურ სასტუმროში, გათვალისწინებულია სამჯერადი კვება და კულტურულ-გასართობი ღონისძიებანი. სწავლება უფასოა.

განცხადებები მიიღება 7 აგვისტოს ჩათვლით.

ლექციებზე დასწრების უფლების მისაღებად და კურსების პირობების გასაცნობად, ყველა, ვინც გააკეთებს სატელეფონო თუ პირად განაცხადს, ვალდებულია გამოცხადდეს 9 აგვისტოს 11 სთ-ზე მითითებულ მისამართზე.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი 380001 9 აპრილის ქ. №6 ოთახი 224

ტელ: 37-53-30
31-58-13
99-70-64

რომ არ გაჩნდეს შავი ლაქა...

(დასასრული)

აღებული 200-300 დოლარი გადაეცა ანკარის სათვისტომოს, მაგრამ ეს წინადადება კატეგორიულად უარყო ანკარის სათვისტომოს წარმომადგენელმა ბატონმა მურსელ ჩეთინმა.

კრების ბოლოს მინისტრთა საბჭოს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილის ბ-ნ თ. კუნჭულიას წინადადებით გადავწყვიტეთ უმოკლეს დროში საზოგადოების ხაზით მოგვეწვია ანკარაში არსებული ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი რ. შაჰინი, რათა ბოლოს და ბოლოს სრული სიმართლე გაგვეგო და აგვეცილებინა ის უხერხულობა, რაც ზემოთ აღნიშნული ფაქტის გამო შეიქმნა. მაგრამ, საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ ამ საქმეში ყურადღება არ გამოიჩინა, უფრო მეტიც, ამ ფაქტის მიმართ აბსოლუტურად გულგრილი დარჩა. ეს ამბავი დღემდე მეტად ბუნდოვნად და საეჭვოდ გამოიყურება.

ვფიქრობ, სათანადო ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ გულისხმიერება და დაავალონ შესაბამის კომპეტენტურ პირებს შეისწავლონ აღნიშნული ფაქტი, გაარკვიონ საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების „როლი" ზემოთხსენებულ საქმეში, რათა ჩირქი არ მოეცხოს აღნიშნულ საზოგადოებას, რომელიც ბატონ ოთარ გიგინეიშვილის სიცოცხლეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, ასევე იქიდან ჩამოსული სტუდენტების თვალში. ამის გაკეთება აუცილებელია, რამეთუ ჩირქი ეცხება კეთილშობილურ საქმეს — უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ამ საქმეში არ გაერიოს შემთხვევითი ხალხი, და, რაც მთავარია, ბინძური ხელი.

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების დღევანდელ ხელმძღვანელობას ასეთი ექსცესების თავიდან აცილებისათვის არაფერი უღონია. ამ ფაქტის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არ გააჩნია სათანადო კომპეტენტურობა და რაც ყველაზე მთავარია, არც სურვილი, რომ პატიოსნად და უანგაროდ მიიღოს თურქეთიდან ჩამოსული თანამემამულეები. ერთიც უნდა აღინიშნოს: აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოებასთან შეიქმნას რაიმე ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს თურქეთიდან საქართველოში სასწავლებლად ჩამოსაყვანი ახალგაზრდების შერჩევას. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ დაზღვეული ვიყოთ შემთხვევითი ადამიანებისაგან და ამ საზოგადოების ხაზით ჩამოსული ახალგაზრდების საქმიანობით იამაყოს საქართველომაც და თურქეთმაც. ჩემის აზრით, მათ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობა და ვალი ამ ორი ქვეყნის წინაშე. მათ მოღვაწეობაზე დიდად იქნება დამოკიდებული თურქეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობა.

ალი ალთუნი

მამისონი

AMISONY®

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „კომპლექსი"-ს ფირმა „მამისონი" გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საქონლის მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს..

ვიწვევთ მსმენელებს რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა. მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 3920 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 სექტემბრამდე.

ჩვენი ანგარიშია №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი", ანგარიში №000161307, კოდი 521006, სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო.

გელით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

გჯეროდეთ, ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტიაა თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით:

95-93-72; 95-23-72.

მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბჭოს მოედნიდან ასახვევი ხელმარჯვნივ. ავტობუსი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან).

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი"

თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს ესპერიმენტალური მექანიკური ქარხანა **სამუშაოდ იწვევს** შემდეგი სპეციალობის მუშებს:

1. ზეინკალი;
2. ელ. შემდუღებელი;
3. გამომჭრელი;
4. ხარატი;
5. დამხმარე მუშები.

აღნიშნული მუშების თვიური ხელფასი საშუალოდ შეადგენს 450-550 მანეთს.

აღნიშნული სამუშაოების ღირებულება გადახდილი იქნება ჩვენს მიერ, თქვენს მიერ წარმოდგენილი საბუთის შესაბამისად. (000508113 ვაკის რაიონის ბინსოცბანკი).

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. 38ა (ყოფილი პავლოვის ქუჩა), ინტურისტების გარაჟის უკან. ცნობებისათვის ტელ: 39-86-31.

იყიდება

„მიცუბიშის" წარმოების იაპონური მიკროავტობუსი ZAMBAR-SVBARY. ძრავის მოცულობა 1540 სმ³. აქვს კაციანი, დიდი სათავსოთი. საჭე მარჯვნივ. 2 წლის. ფასი 200 000 მან.

დარეკეთ: 37-58-25.

ფირმას ესაჭიროება მთავარი ბუღალტერი.

ტელეფონი: 37-58-25.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1.

მსურს ვიქირავო 2 ოთახიანი კეთილმოწყობილი, იზოლირებული ბინა ტელეფონით, ქალაქის ცენტრალურ რაიონში. დარეკეთ: 37-58-25.

მსურს ვიქირავო 2 ან 3 ოთახიანი კეთილმოწყობილი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრში ტელეფონით.

ტ: 37-70-09 ან 38-95-85.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი **მერაბ გალარჯიშვილი**

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.